

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა

კურსი: კონსტიტუცია და დემოკრატია



თემა: კონსტიტუციის შესახებ

მოსწავლის სახელმძღვანელო

2014

▪ სარჩევი	2
▪ ძირითადი კითხვები	3
▪ ტერმინის განმარტება	3
▪ ვინ ახდენს კონსტიტუციის განმარტებას?	4
▪ რატომ იღებენ კონსტიტუციას	5
▪ კონსტიტუციის მიღების გზები	6
▪ ა.შ.შ-ს კონსტიტუცია	7
▪ ინდოეთის კონსტიტუცია	7
▪ თურქეთის კონსტიტუცია	8
▪ კონსტიტუციის ტალღები	8
▪ საქართველოს კონსტიტუცია	10
▪ კონსტიტუციის კლასიფიკაცია	11
▪ შემაჯამებელი კითხვები	14
▪ დავალება	14

ძირითადი კითხვები

1. თქვენი აზრით, რა არის კონსტიტუცია?
2. თქვენი აზრით, რა არის კონსტიტუციის შექმნის მიზანი?
3. როგორ ფიქრობთ, ვინ ქმნის (წერს) კონსტიტუციას?
4. თუ იცით, სად დაიწერა პირველი კონსტიტუცია?
5. რა იცის საქართველოს კონსტიტუციებზე?

ტერმინის განმარტება

„კონსტიტუცია“ ლათინურად „constitutio“ რაც ნიშნავს დაწესება, დადგენას. კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია, რომელიც ადგენს ადამიანების თავისუფლებისა და ხელისუფლების მოქმედების ფარგლებს. იგი უმთავრეს როლს თამაშობს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის შემუშავებაში.

ხშირად კონსტიტუციას უწოდებენ ყველაზე მაღლა მდგომ, მთავარ კანონს. რატემაუნდა, ის იერარქიით ყველა კანონზე მაღლა დგას, თუმცა, კონსტიტუცია უფრო მნიშვნელოვანი რამაა, ვიდრე მხოლოდ კანონთა ერთობლიობა. კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოს მოდელს და მის მომავალს და პასუხს ცემს კითხვას, თუროგორი სახელმწიფო უნდა აშენდეს. ამიტომაც უფრო სამართლიანი იქნება, თუ მას შევხედავთ, როგორც „სახელმწიფოს შენებისა და განვითარების“, პოლიტიკური წყობილების მოდელს და არა, როგორც მხოლოდ კანონს.

„ხალხის ძალაუფლება კონსტიტუციის აუცილებელი საფუძველია.“¹ კონსტიტუცია არამხოლოდ სამართლებრივი დოკუმენტია არამედ, მას უდიდესი პოლიტიკური და სოციალური დატვირთვა აქვს. სამართლის მეცნიერები თვლიან, რომ კონსტიტუცია იქმნება მომავალი საზოგადოების დასაგეგმად, იმისათვის, რომ წარსული უარყოფითი გამოცდილება თავიდან იქნეს აცილებული. მისი უზენაესობის გარანტორები, ხელისუფლება და საზოგადოება არის. მიიჩნევა, რომ კონსტიტუცია არ უნდა იყოს ბუნდოვანი და მრავალმხრივი გარჩევის საგანი, ის უნდა იყოს დაწერილი ისე, რომ არ საჭიროებდეს ცვლილებების შეტანას საზოგადოების განვითარებასთან ერთად. ამიტომაც, აუცილებელია,

¹თომას ჯეფერსონი

კონსტიტუციის ნორმები იყოს ზოგადი, მას უნდა შეეძლოს მომავალი თაობისათვის მიმართულების მიცემა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კონსტიტუცია ისეთი დებულებების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო ორგანოების ფორმირებისა და საქმიანობის პრინციპებს, ასევე სახელმწიფოს მოწყობის ფუნდამენტურ ღირებულებებს.

ვინ ახდენს კონსტიტუციის განმარტებას?

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები პოლიტიკოსები არიან, რომლებიც საკუთარი მიზნების შესაბამისად მოქმედებენ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ. თუ მათ მივცემთ უფლებას, მოახდინონ კონსტიტუციის ნორმების განმარტება, შეიძლება შეიქმნას გარკვეული საფრთხე, რომ ისინი კონკრეტული პირის ან საკუთარი ჯგუფის ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებენ.

ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, კონსტიტუციის განმარტებისთვის საკონსტიტუციო სასამართლოა. სასამართლოს მიერ ტექსტის განმარტებისას, მას ენიჭება გადაწყვეტი მნიშვნელობა, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის მოქმედების საკითხში. კონსტიტუციის განმარტებისას სასამართლომ კონსტიტუციის ნორმის განმარტება უნდა მოახდინოს კონკრეტული საქმიდან გამომდინარე და ამით განმარტოს მისი მნიშვნელობაც. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს ის ნება, რომელიც კანონმდებელმა მასში ჩადო. განმარტება უნდა მოხდეს, ჯერ ტექსტის სიტყვა-სიტყვითი აზრიდან და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განისაზღვროს მისი სამართლებრივი შინაარსი. კონსტიტუციის მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა კონსტიტუციის ავტორების მოსაზრებები, არამედ საზოგადოების-მოქალაქეების ნებაც.

საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო, რომელიც ამოწმებს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და სხვა ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციასთან არის სწორედ საკონსტიტუციო სასამართლო. იგი შეიქმნა 1996 წელს. მისი შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი ძირითადი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია.

რატომ იღებენ კონსტიტუციას?!

თანამედროვე მსოფლიოში კონსტიტუცია, მისი პრაქტიკულობიდან გამომდინარე აღიქმება, როგორც საერთაშორისო საზოგადოების მიერ სახელმწიფოებრიობის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად. ამასთანავე, შიდა პოლიტიკური მოთამაშეები, პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები კონსტიტუციას უყურებენ, როგორც ერის დაფუძნებისა და სახელმწიფოს არსებობის სიმბოლოს. კონსტიტუციები მოსახერხებელი ინსტრუმენტია სახელმწიფო ინსტიტუტების ფარგლების განსასაზღვრად. სახელმწიფოებში, რომელშიც არაერთგვაროვანი მოსახლეობაა, იქნება ეს ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების გადაკვეთის წერტილი - (მსოფლიოს სახელმწიფოების მზარდად დიდი წილი) - კონსტიტუცია შეიძლება წარმოადგენდეს ეროვნული ერთიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოხატულებას.

კონსტიტუცია წარმოადგენს საზოგადოების შეთანხმების შედეგს, ვინაიდან თავიდან იქნეს აცილებული ის ზიანი, მმართველობა და შეცდომები, რომლებმაც საზოგადოება არასახარბიელო მდგომარეობაში შეიძლება ჩააყენოს. კონსტიტუცია არის დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც იზღუდება სახელმწიფოს თვითნებობა, რომელიც თვითონ სახელმწიფოებრიობის დაუძინებელი მტერია. იონ ელსტერის ჰომერისეული მეტაფორას თუ ვისესხებთ, კონსტიტუციის ავტორი, მოხერხებული ოდისევსის მსგავსად, ანძას მიაჯაჭვავს საკუთარ თავს, რადგან სურს, მოუსმინოს (იძულებულია მოუსმინოს) სირინოზების სიმღერას, მაგრამ იცის, რომ ვერ შეძლებს გაუძლოს და მათკენ არ გაეშუროს, თუ ანძაზე არ იქნება მიბმული.² სირინოზების სიმღერის მსგავსად, მოქმედებს ადამიანებზე ძალაუფლება, მათ არ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ ცდუნებებს. „ძალაუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად.“ ამიტომაც, ისინი თუ იქნებიან შებოჭილები, ანძაზე მიბმული ჰომეროსის მსგავსად, შეძლებენ გაუმკლავდნენ ცდუნებას, ამ მიზანს ემსახურება კონსტიტუცია, რომელსაც მბოჭავი ძალა აქვს.

²ანდრამ შაიო - „ხელისუფლების თვითშეზღუდვა“.

კონსტიტუციის მიღების გზები

კონსტიტუცია უნდა გამოხატავდეს საზოგადოების ნებას და ის განხორციელებადი უნდა იყოს იმ საზოგადოებაში, რომელზეცაა გათვლილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურ ნაწერად დარჩება. განსხვავებულია კონსტიტუციის მიღების გზები.

კონსტიტუციის შემქმნელი ორგანო ვერ იქნება საზოგადოება მთლიანად. პრაქტიკული მიზეზებიდან გამომდინარე ასეთი ორგანო, ყველაზე კარგ შემთხვევაში, უნდა იყოს საზოგადოების წარმომადგენელი.

კონსტიტუციის შექმნის პროცესი როგორც წესი, უნდა დაიწყოს გარკვეული წერტილიდან. დღესდღეობით, კონსტიტუციის შექმნის პროცესს ეხმარება საერთაშორისო საზოგადოება, ან საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა გაერთიანებულ ერების ორგანიზაცია ან ინდივიდუალური სახელმწიფოები. აღნიშნული დახმარების აღმოჩენა ხდება როდესაც არის შესაბამისი საჭიროება. კონსტიტუციის შექმნის პროცესში ხშირად რთულ საკითხს წარმოადგენს მმართველობის სტრუქტურის განსაზღვრა, რადგანაც განსხვავებულ სტრუქტურებს აქვთ სხვადასხვა და გარკვეული ხარისხით წინასწარ განსაზღვრადი პოლიტიკური შედეგები.

ხალხის პირდაპირი მონაწილეობის მაგალითს წარმოადგენს ისლანდიაში მიღებული კონსტიტუცია, რომელის მიღებაშიც მონაწილეობის საშუალება თითოეულმა მოქალაქეს ჰქონდა ფეისბუქის ან სხვა სოციალური ქსელების მეშვეობით. ისლანდიაში კონსტიტუციის გადასინჯვის საჭიროება, მწვავე ეკონომიკური კრიზისის შემდეგ დადგა 2008 წელს. ხელისუფლებამ ხალხის მსგავსი ჩართულობა იმიტომ განაპირობა, რომ განმტკიცებული ყოფილიყო კონსტიტუციაში ხალხის ნება, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მას ისეთივე მაღალი ნდობა არ ექნებოდა, როგორც დღეს აქვს.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია

ა.შ.შ-ს კონსტიტუცია წარმოადგენს, ა.შ.შ-ს უზენაეს კანონს. მასზე მუშაობა დასრულდა 1787 წლის 17 სექტემბერს, რის შემდეგაც სპეციალური კონვენციით მოხდა მისი მიღება თითოეული შტატის მიერ. ამით შეიქმნა სუვერენული შტატების ფედერალური გაერთიანება და ამ გაერთიანების მმართველი ფედერალური მთავრობა. იგი ძალაში შევიდა 1789 წელს და გამოყენებულია მოდელად სხვა სახელმწიფოების მიერ. ა.შ.შ-ს კონსტიტუცია ამჟამად მოქმედ, დაწერილ კონსტიტუციებს შორის ყველაზე ძველია.



1786 წლის სექტემბერში, ხუთი შტატის წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისია შეიკრიბა ანაპოლისის კონვენციაზე, რათა განეხილათ კონფედერაციის სტატიების რეგულირება და დალაგება, რომელიც ხელს შეუწყობდა კომერციის

განვითარებას. მათ ფილადელფიაში მიიწვიეს შტატების წარმომადგენლები, რათა განეხილათ ფედერალური მთავრობის შექმნის იდეა. 1787 წლის 21 თებერვალს დებატების შედეგად გადაწყდა კონფედერაციის სტატიების კიდევ ერთხელ შესწორება. თორმეტი შტატი (როდაილენდის გამოკლებით) დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას და დაიგეგმა 1787 წლის მაისში შეხვედრა. მიღებული რეზოლუცია ითვალისწინებდა არსებული კანონმდებლობის შესწორებასა და დახვეწას, თუმცა შემდეგ გადაწყდა ახალი კონსტიტუციის შექმნა. 1787 წლის 17 სექტემბერს ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა დასრულდა, ხოლო 1789 წლის 4 მარტს ძალაში შევიდა. კონსტიტუციის ორიგინალი ინახება ეროვნულ არქივში, ვაშინგტონში (კოლუმბიისოლქი).

ინდოეთის კონსტიტუცია

ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მიღებული აქტით 1947 წლის 15 აგვისტოს ინდოეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. ერთი წლით ადრე კი დამფუძნებელთა კრებას კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა დაწყებული ჰქონდა 1949 წლის 26 ნოემბერს კონსტიტუცია მიიღეს. ინდოეთის კონსტიტუცია თავისებურია, რასაც მისი მოცულობა განაპირობებს. ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი დოკუმენტია, რომელიც ამომწურავად და დეტალურად არეგულირებს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს. ინდოეთში კონსტიტუციის დაცვას უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლო. უზენაეს სასამართლოს მინიჭებული აქვს კონსტიტუციის განმარტების უფლებამოსილება.

თურქეთის კონსტიტუცია

1980 წელს თურქეთში სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლების გადატრიალების შედეგად ეროვნულმა უშიშროების საბჭომ შეაჩერა წინა კონსტიტუციის მოქმედება. 1982 წლის 7 ნოემბერს, რეფერენდუმის შედეგად მიღებული იქნა დღევანდელი კონსტიტუცია. მისი სტრუქტურა საკმაოდ რთულია. საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება ხდება მხოლოდ პრეზიდენტის მიერ. საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს კანონის, კანონის ძალის მქონე ბრძანებულებისა და დიდი ეროვნული კრების რეგლამენტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის განხილვა ფორმისა და არსის მიხედვით.

კონსტიტუციის ტალღები

➤ პირველი ტალღის კონსტიტუციები

ამ დროის კონსტიტუციებისათვის ძირითადად დამახასიათებელია სახელმწიფო ორგანოთა მოწყობის საკითხები. ადამიანის ძირითად უფლებებს, პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის არსებული ურთიერთობებს შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. პირველი ტალღის კონსტიტუციებს განეკუთვნება: აშშ-ს 1787 წლის, ბელგიის 1831 წლის, ნორვეგიის 1814 წლის, შვეიცარიის 1874 წლის, ავსტრალიის 1900 წლის და სხვა.

➤ მეორე ტალღის კონსტიტუციები

საფრანგეთის 1946 და 1958 წლის კონსტიტუციებთან, იაპონიისა და იტალიის 1947 წლის, გერმანიის 1949 წლის, საბერძნეთის 1975 წლის, პორტუგალიის 1976 წლისა და ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციები ასევე ამ დროისათვის სხვა პატარა წარმოშობილი სახელმწიფოების კონსტიტუციებიც.

წინა პერიოდის კონსტიტუციებისაგან განსხვავებით ახალ კონსტიტუციებში უფრო გაფართოებულია რეგულირების სფერო; სახელმწიფო ერევა სოციალურ, ეკონომიკურ და ზოგიერთ სხვა საკითხებში, რომელთა მიმართაც პირველი ტალღის კონსტიტუციები ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ.

➤ მესამე ტალღის კონსტიტუციები

კონსტიტუციათა მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ე.წ. „სოციალისტური“ ტიპის კონსტიტუციები, რომელთა მთავარ მახასიათებელს პრინციპების დეკლარაციული, ფიქტიური ხასიათი წარმოადგენს.

XX საუკუნის 50-60-იან წლებში კოლონიალიზმის სისტემის დაშლას უკავშირდება. ამ ჯგუფის კონსტიტუციათა შინაარსზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ყოფილმა მეტროპოლიებმა. დიდი ბრიტანეთის ზეგავლენით ზოგიერთ ყოფილ კოლონიაში შეიქმნა სახელმწიფო მოწყობის მოდელები.

ამ კონსტიტუციათა უმრავლესობა XX საუკუნის 60-იან წლებში ახლით შეიცვალა, ზოგ შემთხვევაში კი მოხდა ძველის მნიშვნელოვანი გადასინჯვა. ამ პერიოდისათვის თვალში საცემია საკმაოდ ბევრი განვითარებადი სახელმწიფოს ორიენტირება სოციალისტურ კონსტიტუციაზე.

კონსტიტუციურ ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სოციალისტურ სახელმწიფოთა კონსტიტუციებს. კლასიკური

კონსტიტუციებისაგან ისინი ხალხის სრული ძალაუფლების ფორმალური დეკლარირებით, კომუნისტური პარტიის წამყვანი როლის განმტკიცებით, სახელმწიფო ორგანიზაციაში ხელისუფლების დანაწილების არ არსებობით, ცხოვრებისეულ სინამდვილესთან შეუსაბამობითა და ფიქტიურობის მაღალი ხარისხით.

➤ მეოთხე ტალღის კონსტიტუციები

მეოთხე ჯგუფში შედის ის კონსტიტუციები, რომლებიც განვითარებადი სახელმწიფოებისაა.

კონსტიტუციათა კიდევ ერთი პერიოდი დაკავშირებულია კომუნიზმის კრაზთან და სოციალისტური სახელმწიფოების (ჩეხოსლოვაკეთი, სსრკ, იუგოსლავია) დაშლასთან.

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციური ისტორია პირველი კონსტიტუციის მიღებით იწყება. მის შემუშავებაზე სამი წლის განმავლობაში (1918-1921 წ.წ) ორი საკონსტიტუციო კომისია მუშაობდა.

1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ, მიუხედავად იმისა რომ სხდომაზე ყველა თავი არ ყოფილა განხილული, მაინც დაამტკიცა კონსტიტუცია.

ძნელია იმის განსჯა თუ როგორ იმუშავებდა ეს კონსტიტუცია, ვინაიდან მიღებიდან მეოთხე დღეს საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველო, ხოლო ემიგრაციაში მიმავალმა საქართველოს კანონიერმა ხელისუფლებამ შეაჩერა რეალურად ჯერ არ ამუშავებული პირველი ქართული კონსტიტუციის მოქმედება. დაიწყო საბჭოური კონსტიტუციების 70 წლიანი პერიოდი.

საბჭოური კონსტიტუციები საქართველოში

გასაბჭოებულ საქართველოში მიღებულია ოთხი კონსტიტუცია -1922, 1927, 1937 და 1978 წელს. ამ დროს მიღებული კონსტიტუციები რუსული კონსტიტუციის გადმოქართულებული ვარიანტი იყო და არ წარმოადგენდა ქართველი ხალხის ნების გამოხატვის და მისი რომელიმე დამფუძნებელი ორგანოს სამართალ შემოქმედების შედეგს.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია

1993 წლისათვის სახელმწიფო-სამართლებრივ სივრცეში რთული სიტუაცია შეიქმნა. 1921 წლის აღდგენილი კონსტიტუცია, საერთოდ არ შეესაბამებოდა არსებულ რეალობას. „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონი მხოლოდ ურთიერთობათა ნაწილს აწესრიგებდა. ახალ დროებას ახალი კონსტიტუცია სჭირდებოდა, რომელიც რეალურად იმუშავებდა.

კონსტიტუციათა კლასიფიკაცია

➤ ფორმის მიხედვით

არსებობს დაწერილი და დაუწერელი კონსტიტუციები. დაწერილი და დაუწერელი კონსტიტუციები იმით განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ ამ უკანასკნელს ვერ შევხვდებით ერთიანი დოკუმენტის სახით. ის მოიცავს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებს, ხოლო დაწერილი კონსტიტუცია ერთიანი დოკუმენტის სახითაა.

კონსტიტუცია, ძირითადად დაწერილი ფორმით გვევლინება, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც.

დაუწერელი კონსტიტუციის თვალსაჩინო მაგალითია – ინგლისის დაუწერელი კონსტიტუცია. ასევე ისრაელის კონსტიტუცია, რომელიც ერთიანი დოკუმენტის სახით არ გვევლინება. მეცნიერთა ნაწილი ახალ ზელანდიის კონსტიტუციას დაუწერელს უწოდებს.

➤ მოქმედების ვადით

კონსტიტუციების კლასიფიკაცია ასევე დაყოფილია მისი მოქმედების ვადის მიხედვით, კერძოდ კი, დროებითი და მუდმივი. დროებითი კონსტიტუციები, მიღებულია გარკვეული ვადით ან გარკვეული ფაქტის დადგომამდე, შემდეგ კი, წყვეტს მოქმედებას. მუდმივი კონსტიტუციების შემთხვევაში კი, მოქმედებს განუსაზღვრელი დროით.

➤ დამატებების/ცვლილებების შეტანის მხრივ

არსებობს კონსტიტუციები, სადაც გამკაცრებულია დამატებებისა და ცვლილებების შეტანა, ანუ არსებობს მკაცრად მოქნილი კონსტიტუციები. მკაცრი კლასიფიკაციის მქონე კონსტიტუციებში, რთული პროცედურაა გასავლელი ცვლილებების ან დამატებების შესატანად. ასეთი კონსტიტუციის საუკეთესო მაგალითია აშშ-ს კონსტიტუცია. მოქნილი კონსტიტუციებში კი, ცვლილებების განხორციელება ხდება ჩვეულებრივ. საზოგადოებრივ ურთიერთობებთან შესაბამისობის მიხედვით - გამოირჩევა ფაქტიური და რეალურის მიხედვით. ფაქტიური არ არის შეესაბამება საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ხოლო რეალური – პირიქით.

კონსტიტუციის პროექტის წარმატების შანსი მცირეა, ვინაიდან პროექტის ავტორები, შეიძლება უნდობლობას იწვევდნენ საზოგადოებაში, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ განიცდიან პირადი ინტერესების ზეგავლენას. ცნობილი პოლიტიკოსები, თუ არიან პროექტის წარმატების შანსი, კიდევ უფრო ნაკლებია, რადგან პოლიტიკოსები, როგორც წესი ვიწრო ინტერესების შესაბამისად მოქმედებდნენ. რაც უფრო დიდი ავტორიტეტი გააჩნიათ კონსტიტუციის პროექტის მონაწილეებს, წარმატების შანსიც უფრო მეტია.

კონსტიტუცია ქვეყნის ძირითადი კანონია და მასში ხშირი ცვლა სამართლებრივ არასტაბილურობას იწვევს, განსაკუთრებით კი ჯერ კიდევ კარგად ჩამოუყალიბებელ სახელმწიფოებში. რაც უფრო ხშირად შედის ცვლილებები კონსტიტუციაში, უფრო მეტად უფასურდება მისი მნიშვნელობა და ავტორიტეტი, შედეგად კი მის მიმართ საზოგადოება კარგავს პატივისცემას. მართალია, ძირითადი კანონი გარკვეულწილად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებს, მაგრამ არსებული პოლიტიკური სიტუაციების მიხედვით, მისი მუდმივი ცვლილება კონსტიტუციური კრიზისისა და არასტაბილურობის ალბათობას ზრდის.

ეს, ის ოთხი ძირითადი კლასიფიკაციაა, რომელიც კონსტიტუციებს ახასიათებთ. თუმცა, დამატებით არსებობს სხვა კლასიფიკაციებიც.

რატომ უნდა დავიცვათ კონსტიტუცია? თითქოს ცხადი უნდა იყოს, რომ თუ ხალხმა მიიღო კონსტიტუცია, ისინი დაიცავენ კიდევ მას. ალბათ აღნიშნული განსაკუთრებით ეხება იმ თაობას, რომელმაც უშუალოდ მიიღო კონსტიტუცია.

შესაძლოა უმრავლესობას, სურდეს გარკვეული პოლიტიკის გატარება, რომლისთვის ააუცილებელია სუპერუმრავლესობის მხარდაჭერა. დავუშვათ, რომ ისინი თანხმდებიან რომ კონსტიტუციური სტაბილურობა მნიშვნელოვანი ღირებულებაა, თუმცა ამის გათვალისწინებით, ისინი ფიქრობენ, რომ სახელმწიფოსთვის უფრო მნიშვნელოვანია თუ დაირღვევა კონსტიტუცია და გატარდება მათ მიერ შეთავაზებული პოლიტიკა.

კონსტიტუცია შეიძლება ითვალისწინებდეს კომპრომისებს, რომელიც საშუალებას აძლევს ხალხს გვერდზე გადადადონ განსხვავებები, რათა იმუშაონ იმ პრობლემებზე, რომელზეც აქვთ იმედი რომ შეიძლება მიაღწიონ გარკვეულწილად მუდმივ შეთანხმებას.

შემაჯამებელი კითხვები?

- 1. ვინ იღებს კონსტიტუციას?*
- 2. დღემდე რამდენი კონსტიტუცია იქნა მიღებული საქართველოში?*
- 3. დღემდე რამდენი კონსტიტუცია იქნა მიღებული საქართველოში?*
- 4. თუ შეიძლება ჩამოაყალიბეთ, მთავარი განმასხვავებელი ნიშნები საბჭოთა კონსტიტუციასა და დღევანდელ კონსტიტუციას შორის?*
- 5. რა იყო ის გადამწყვეტი ფაქტორი, რის გამოც საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციამ არ იმუშავა?*

დავალება:

დაწერეთ ესეე, რას გვეუბნება ჩვენი კონსტიტუცია ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიაზე და ხელისუფლების დანაწილებაზე?

[საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავის მიხედვით]